№ 87 3 მკათათვე, კვირა 1866—1877 3 მკათათვე, კვირა № 87

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

უქველ დღე ოუშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., პატარ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

შემდეგი ნომერი „დროებისა", კრწანისობის დღესასწაულისაგამო, ოთხშაბათს, 6 ივლისს, გამოვა.

ტელეგრამმები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდამ

ზაიმი, 30 ივნისს. უმთავრესი ძალა რუსის არმიისა და აგრეთვე კავალერია დაბანაკებულია ზაიმში. მუხთარ-ფაშა თავის ჯარით ბელლი-ახმეტთან დგას; იმის კავალერია კი არდოსტთან არის დაბანაკებული.

—

ლონდონი, 30 ივნისს. უსაფუძვლოა ხმა, ვითომც ინგლისის პირველი მინისტრი ლორდი ბიკონსფილდი გამოდის სამსახურიდამაო.

ბუხარესტი, 30 ივნისს. რუმინიის ჯარები დუნაიზედ არ გადავლენ; ისინი ეცდებიან შინ არ შემოუშვან მტერი.

ბელგრადი, 30 ივნისს. 31 დეპუტატმა სერბიის სკუპსჩინისამ მიატოვა თავის თანამდებობა. ეს დეპუტატები სამართალში არიან მიცემულნი, რადგან იმათ შეურაცხყოფა მიაყენეს ხალხის წარმომადგენელ კრებას და მინისტრებს. ხელ-მეორეთ ისინი აღარ აირჩევიან სკუპსჩინაში. მთავარის მილანის დეკრეტით ქ. ბელგრადი სამხედრო მდგომარეობაშია გამოცხადებული.

პარიჟი 1 ივლისს. ოსმალოს ფლოტმა, რომელზედაც ისხდნენ ჩერნოგორიიდგან დაბრუნებული ჯარები და რომლითაც მოჰქონდათ აგრეთვე სხვა დასავა საომარი მასალები, მშვიდობით, ბერძნებისაგან ხელ-უხლებელად, გაიარა ბოსფორის კუნძულთან და გასწია ძლეკისაკენ.

ოსმალოს ჯარები ბოლგარიაში თავ-თავიანთ ალაგას არიან გაჩერებულნი და გაცხარებულად ამაგრებენ ბალკანის მთებში გასასვლელ გზებსა.

ლონდონი, 1 (13) ივლისს. ინგლისის ორს სამხედრო ხომალდს „ფლამინგოსა" და „კოდორს" ბრძანება მოუვიდათ, რომ დუნაიზე წავიდნენ ინგლისის ინტერესების დასაცველად.

ვენა, 1 (13) ივლისს. ბოლგარიის სამოქალაქო ღუბერნატორს თ. ჩერკასსკის ბრძანება მოუვიდა, რომ შეადგინოს ბოლგარიის დრუჟინა, რომელშიაც, ყველა ბოლგარიელმა უნდა ჩაეწერონ ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლია.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ტრაპიზონელი კორრესპონდენტი გაზეთის „Indèpénpance Belge"-ისა იწერება ამ ქალაქიდამ:

„აქაური ოსმალოს მთავრობას დიდი იმედი აქვს ქურთებისა, რადგან ესენი ძალიან მხნე ხალხია და ბრძოლაში გამოცდილნი არიან. მთელი ქურთისტანიდამ შეიძლება 55,000 კარგათ დაიარაღებული ცხენოსანი კაცი გამოვიდეს; მაგრამ ამათგან 4,000 კაცი რუსებმა თავის მხრით გადაიყვანეს, რადგან კარგ ჯამაგირს აძლევენ და კარგათ ინახვენ (ტანისამოსსა და სასმელ-საჭმელს გარდა, თითოეულს ცხენოსანს ქურთს თვეში 40 მანეთს აძლევენ რუსები).

ოსმალოს მთავრობამ გაგზავნა ქურთისტანში ბალრი-ბეი ქურთების უფროსის ბედირ-ხანის შვილი ხალხის თავისკენ მოსამხრობად და ჯარის მოსაკრებათ. ამ ბალრი-ბეიმ სამის კვირის წინათ გამოიარა ტრაპიზონში და ახლა თავის სამშობლოში უნდა იყოს; თუ ამან თავიანათ დაიჭირა საქმე, ძალიან ადვილად შეუძლიან, რომ უკანასკნელი 20,000 კაცი მოაგროვოს ქურთებში კარგი მარჯვე ცხენოსანი ბიჭები და ესენი ორი იმდენ ზიანს მოუტანენ, უეჭველია, რუსის ჯარს, ვინემ ოსმალოს რეგულიარული და გაწრთვნილი კორპუსი."

—

გაზეთს „Daily Telegraph"-ში დაბეჭდილია არზრუმიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სწერია:

„გასაკვირველი ცვლილება მოახდინეს რუსებმა არტაანში და ოლთისში. რაკი ისინი შემოვიდნენ, მას აქეთ ეს პატარა ქალაქები ისე გაცოცხლდნენ, ისეთი მოძრაობა და ვაჭრობა შეიქნა აქ, რომ კაცი ველარ იცნობს. ამ ქალაქების ბაზრებში, რუსების მოსვლამდინ, საჭმელ პურსა და ცოტა ხორცეულს რასმე თუ იშოვნიდით, იმაზედაც მადლობა უნდა შაგეწირნათ ღმერთისათვის; ახლა კი ამ ბაზრებში რაც გინდა სული და გული, ყველაფერს ბლომათ იშოვნით. ამის მიზეზი ის გარემოება გახლავთ, რომ რუსები ყველაფერში კარგ ფასსა და ნაღდ ფულს, უფრო ხშირად ოქროს, აძლევენ; ამის გამო მცხოვრებლებს დიდის სიამოვნებით მოაქვთ ყველაფერი, რაც კი გასასყიდლად ემეტებათ. რასაკვირველია, რუსებს თავის ანგარიში აქვთ, რომ ასე იქცევიან: იმათი განზრახვა არის, რომ აქაური მცხოვრებლების გული მოიგონ; მაგრამ რაც უნდა იყოს, ფაქტი ეს არის."

—

ქურთების თაობაზედვე ბელგიურს გაზეთს „Indépendance Belge"-ში იწერებიან:

„ქურთების მხნეობა, სიმარჯვე და ავაზაკობა მთელს მცირე აზიაში განთქმულია. ისინი თითქმის მარტო მცარცველობითა და ქურდობით ცხოვრობენ. არავითარ კანონსა და მმართებლობის მოთხოვნილებას ესენი არ ემორჩილებიან; ხან სპარსეთში გადადიან, ხან ოსმალეთში, დაეცემიან ხოლმე მშვიდობიან მცხოვრებლებს, მთელ სოფლებსა და ხან ქალაქებს გაცარცვენ და შემდეგ ერთმანეთში გაინაწილებენ. ეს არის ამათი ცხოვრება.

„1839 წელს ოსმალოს ქურთები გადაუდგნენ მმართებლობას და პირ-და-პირ გამოაცხადეს, რომ ისინი დამოუკიდებელ ხალხს შეადგენენ, აღარ ემორჩილებიან ოსმალეთის მთავრობას. განდგომილებმა თავიანთში ამოირჩიეს ბედირ-ხანი, რომელიც უფრო ჭკვიანი და მხნე იყო და იმას ემორჩილებოდნენ ამ აჯანყების დროს. დიდ ხანს იყო ბრძოლა ამათსა და ოსმალოს ჯარს შუა; ბოლოს მთავრობამ 60,000 კაცი გამოგზავნა ამათ დასამშვიდებლად. ბედირ-ხანი დაატყვევეს, კანდიის კუნძულზე გაგზავნეს და რამდენიმე წლის შემდეგ აქ მოკვდა. დანარჩენი აჯანყებულები კი გაიფანტნენ.

„ბედირ-ხანის შვილი მთავრობამ წაიყვანა სტამბოლს და იქაურს უმაღლესს სასწავლებელში გამოზარდა. აი ეს ბედირ-ხანის შვილი, რომელსაც ბალრი-ბეის ეძახიან, გამოგზავნეს ახლა სტამბოლიდამ ქურთისტანში იმ განზრახვით, რომ ამან მოაგროვოს ცხენოსანი ჯარი რუსების წინააღმდეგ მცირე აზიაში საბრძოლველად.

„თუ ეს ბალრი-ბეი მარჯვედ მოიქცა და თუ ოსმალოს მმართებლობას ფულების მხრით დაბრკოლება არ ექნება, შეიძლება 60,000 კაცი ქურთი გამოიყვანონ ბრძოლის ველზე; მაგრამ 25,000 კაციც, რომ მოაგროვონ, მაინც დიდ ვნე-

ბას მისცემენ, ამათი შემწეობით, მცირე აზიაში მომქმედ რუსის ჯარსა.“

—

ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან, რომ არტაანის ფაშა ალი-ფაშა ქალაქს არიოლში მიუყვანიათ და იქ დაუბინავებიათ. სახლი დაუქირეს და ერთი თავის მოსამსახურე თან ახლავსო; მუდამ მუხლ-მოკეცილი, მოწყენილი და დაღონებული ზის შინ, ვარეთ არ გამოდისო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

გასულ ივნისის 20-ს რუსის ჯარმა, სამჯერ ერიშით მისვლისა და ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, აიღო ბოლგარიის ძველი დედა-ქალაქი ტრნოვო.

—

დუნაიზე ჯარის გადაყვანისათანავე რუსეთის სამხედრო მთავრობამ თავის გამგეობა დააწესა ბოლგარიაში. მთელი ბოლგარიის სამოქალაქო ღუბერნატორად თავადი ჩერკასსკი არის დანიშნული, რომელსაც ამ ქვეყანაში უკვე რუსის ჩინოვნიკები დაუნიშნავს, დაუმწესებია რუსის ფოჩტა, ტელეგრაფის უწყება და სხვ.

—

რუსულ გაზეთში „Сѣверный Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია ვენიდამ მიღებული დეპეშა, რომ აქ და საზოგადოთ ავსტრიაში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინაო რუსეთის იმპერატორის ბოლგარიელებისადმი მანიფესტმა, რომელშიაც გამოცხადებულიაო, რომ რუსეთი გაანთავისუფლებს ბოლგარიას ოსმალეთის დამოკიდებულებისაგანაო.

ამავე გაზეთში სერბიის სატახტო ქალაქიდამ—ბელგრადიდამ იწერებიან, რომ აქაურს პარლამენტში (სკუპშჩინაში) დიდი პარტია შესდგაო, რომელიც ცდილობსო, რომ მთავარს მილანს სერბიის ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადებინოსო. ეს პარტია ამტკიცებს თურმე, რომ ახლა თუ ვისარგებლებთ ჩვენ, სერბიელები და განვთავისუფლდებით ოსმალეთის უღელისაგან, თორემ მერე ვინ იცის—როდის მოვესწრობით ამისთანა მოხერხებულს დროსაო. ამ პარტიას, არათუ მარტო სკუპშჩინაში, რასაკვირველია, თვითონ სერბიის ხალხშიაც ბევრი მომხრეები ჰყავს.

—

კონსტანტინოპოლელი კორრესპონდენტი „ქელნის გაზეთისა“ იწერება, რომ მე უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრთან სავფეტ-ფაშასთან მქონდა ამას წინათ ლაპარაკი ოსმალეთის ახლანდელს პოლიტიკურ მდგომარეობაზედაო და სხვათა შორის, იმან შემდეგი სიტყვები მითხრაო:

„ჩვენ მზათა ვართ მოვურიგდეთ რუსეთს; მაგრამ ვერ დავეთანხმებით ისეთს პირობაზე, რომელიც დაამცირებს ოსმალეთის ღირსებას. ინგლისის დახმარების იმედი ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს.“

—

ერთსა-და-იმავე დროს, როცა რუსის ჯარი ზიმნიცთან და ბრაილოვთან გადავიდნენ დუნაიზე, კიდევ ორ სხვა ალაგას ნდომებიათ, როგორც ახლა აღმოჩნდა, ამ მდინარეზე გადასვლა: ფლამადთან, ქ. ნიკოპოლის ქვემოთ, და ჟურჟევოსთან. მაგრამ ინგლისური გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება, რომ ამ ორსავე ალაგას რუსის ჯარი უკანვე დააბრუნეს ოსმალოებმა, რადგან მეორე მხრიდამ საშინელი სროლა შექნეს და არ გამოუშვეს ნაპირზედაო.

—

ვენის გაზეთს „Fremdenblatt“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა რუსჩუკიდამ 18 ივნისს მიღებული:

„აბდულ-ქერიმ-ფაშა ამ ჟამად ჯერ კიდევ შუმლაშია და დიდ მზადებაშია, რადგან ამ ქალაქის ახლო-მახლო სადმე დიდს ბრძოლას მოელიან. ამბობენ, რომ აბდულ-ქერიმ-ფაშა მხოლოთ იმ შემთხვევაში შეებმება იქ რუსებს, თუ ისინი იამბოლთან განიზრახვენ ბალკანიის მთებზე გადაბიჯებას, და ამ გზით ადრიანოპოლამდინ მისვლას. ამას გარდა სოფიასთან დიდ-ძალი ჯარია ოსმალეთისა დაბანაკებული აგრეთვე იმ განზრახვით, რომ ბალკანის მთებს იქით არ გაუშვან რუსის ჯარი.“

—

როგორც რუსჩუკმა და ჟორჟევომ ერთმანეთი დაანგრიეს, ისე კალაფატმა და ვიდინმა კალაფატთან რუმინიელები ხიდს აშენებდნენ ამას წინათ თავის ჯარის დუნაიზე გადასაყვანათ, მაგრამ ვიდინიდამ ოსმალოებს დაუნგრევიათ ყუმბარებით.

—

ამას წინათ სტამბოლში შეადგინეს ესრედ წოდებული „კავკასიის კომიტეტი“, რომლის დანიშნულება ის იყო, რომ კავკასიის მაჰმადიანები აეჯანყებინათ რუსის მმართებლობის წინააღმდეგ და აგრეთვე თოფ-იარაღი გამოეგზავნათ ამ აჯანყებულებისათვის. ამ კომიტეტს, როგორც ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, მოუსპია ახლა თავის მოქმედება.

—

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან ოდესიდამ, რომ გასული ივნისის 18-ს ამ ქალაქიდამ 120 ვერსზე, შავს ზღვაზე სოფელს ჟაბრიანთან 8 ოსმალო გამოსულა ნავებით და შესულა ამ სოფელში იმ განზრახვით, რომ დასაჯონ იქაური მენავეები, რომელთაც რუსის ჯარისათვის ნავები უთხოვებიათ დუნაიზე გადასვლის დროს. ამას კი იწერებიან, მაგრამ იმას კი არ ამბობენ: დასაჯა ეს სოფელი ამ რვა ოსმალომ, თუ არა?

—

ზემოხსენებულსავე გაზეთში იწერებიან, რომ ჩერნოგორიაში დამარცხებული სულეიმან-ფაშა სტამბოლში გამოუხმიათ თავის ჯარებით და აქედამ ამ მოკლე ხანში დუნაიზე უნდა წავიდეს და დობრუჯეს მხრით უნდა მიადგეს რუსებსაო.

—

ამბობენ, ვითომც რუსეთმა შეჰპირდა სერბიასაო, რომ თუ ოსმალეთს ომს არ გამოუცხადებ (ნეიტრალიტეტს არ დაარღვევ), ამ ომის გათავების შემდეგ, სერბიაც ისეთნაირათვე იქნება ოსმალეთისაგან განთავისუფლებული და დამოუკიდებელი, როგორც ამჟამად რუმინია არისო.

—

რუსულს გაზეთს „Сѣверный Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია ვენიდამ მიღებული დეპეშა, რომელშიაც იწერებიან, რომ უმთავრესმა ძალამ რუსების არმიისამ, დობრუჯეში, ბაბადაღიდამ მეჯიდიეში გაიწიაო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ჩერნოვოდისა და კუსტენჯის შემაერთებული რკინის გზა რუსების ხელში ჩავარდა.

საქართველო

დღიური

*** რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკის წლიური ანგარიში. საინტერესოა ამ ანგარიშის ზოგიერთი ციფრების გაცნობა, განსაკუთრებით, თუ ამ ანგარიშს ჩვენი ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ანგარიშთან შევადარებთ.

ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ შარშანდელი წლის განმავალობაში ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკს 388 გირაოში გაუცია ფული (6,110,100 მან). ამ გირაოდამ 231 სოფლის მამული არის და 157 ქალაქის უძრავი ქონესა. და თავის დაარსებიდამ, ხუთ წელიწადში, ხარკოვის ბანკს გაუცია სულ 37,053, 825 მან. და ამ ფულში მიუღია გირაოთ—1,901 სოფლის მამული და 953 ქალაქისა.

ახლა ამას შევადაროთ ჩვენი ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის 1876 წლის ანგარიშიც. ამ ანგარიშიდამ ვტყობულობთ, რომ შარშანდელი წლის განმავალობაში ამ ჩვენ ბანკს მიუღია გირაოთ სულ 60 სოფლის მამული და ქალაქისა კი 80; სოფლის მამულის გირაოთ გაუსესხებია—232,900 მანეთი და

ქალაქის უძრავ ქონებაში კი—422,000!

ამ ანგარიშის შემდეგ, როგორ მართალი არ იყვნენ ის პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ თფილისის საადგილ-მამულო ბანკი ქალაქის მამულების მეპატრონეებისთვის არის დაარსებული.

*** ბაზეთის „კავკაზის„ მე-126 ნომრის დამატებაში, განცხადებების განყოფილებაში, სხვათა შორის შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი:

„ქუთაისის ოკრუჟნი სუდის სამოსამართლო პრისტავი, ალექსანდრე აბდუშელიშვილი აცხადებს, რომ 31 აგვისტოსა, 1877 წელს დილის 10-ს საათზე ქუთაისის ოკრუჟნი სუდში გაისყიდება მიცვალებულის პეტრე ბენზეხაძის ობლების ქონება, რომელიც იმყოფება ქ. ქუთაისის მეორე განყოფილებაში, და შესდგება ორის ხის სარაისაგან, ორის აგურის საწვავ ფეჩისაგან, აგურის ოთახისა და 25 საჟენის მიწისაგან (რომელიც ამ შენობებს უპირავს). ყველა ეს გაისყიდება ხსენებულ ობლების მოვალეს ნიკო ღოღაბერიძის ვალის დასაკმაყოფილებელად. მამული 1,000 მანეთად არის დაფასებული და ამ სუმადამ დაიწყება ვაჭრობა (ტორგი). უფრო დაწვრილებითი ცნობების შეტყობა და ქალალდების ნახვა ხსენებული სუდის კანცელარიაში შეიძლება.“

*** ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან პეტროზავოდსკიდამ, რომ ამ დღეებში იქ მიუყვანიათ 200 კაცი ჩერქეზი, რომელნიც ქავკასიიდამ გადმოასახლესო. ეს რუსული გაზეთი ამბობს, რომ ამ ჩრდილოეთის ჰაერში ჩერქეზები ჭკვიანდებიან, მშვიდობიან ხალხათ ხდებიანო, მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ისინი ვერ სძლებენ აქ, მალე იხოცებიანო!

*** ჩვენ მივიღეთ ქალაქი ნახიჩევნის მღვდლის მ. ი. ელიავასაგან შემდეგი შენიშნვა:

„აქაური თათრობა, თუმცა ვერა ბედამენ გამოაშკარებით გაბედონ აჯანყება, მაგრამ ცხადად ეტყობათ, რომ საშინელი აღელვებულები არიან ჩვენ ქრისტიანებზედ. აქამდინ რომელ დუქანშიაც-კი მიხვიდოდი, მაშინვე პატივის-ცემით მიგიღებდა მედუქნე, და ეხლა-კი ქრისტიანს დაინახამს თუ არა, უეჭველად ან გააფურთხებს, და ან, რიცა მოთხოვ რასმე საყიდელსა, ამაყად შემოგხედამს და ათ და მეტს მინუტს გაგაჩერებს—მეტადრე იმ დღესა, როდესაც ტელეგრამმა მოვა „რუსებმა გაიმარჯვესო“.

„აი რა მოხდა აქ ამ სამი დღის წინათა: ტერ-აირმა, პატიოსანმა მღვდელმა და ერთმა თათარმა იყიდეს სანახევროდ ერბო, და წაიღეს დუქანში გასაყოფათა. წინის დროს, ამ საწყალმა ტერ-ტერამ აკი არ გაუწყრა ღმერთი და ხელი მიაკარა ერბოსა და მის კურკელსა; მაშინვე ის გაცხარებით მივარდა ეს თათარი ტერ-ტერასა წვერში, და თითქმის ესე დაკურტული ხუთ მინუტამდინ ჭლილიპა... მცქერალნი ამა სცენისა—სომეხი—პოიები იცინოდნენ და გულგრილად უყურებდნენ ამ საცოდავ სურპ ტერ-ტერასა, და ერთი არ მიეშველა..“

„დროების“ კორრესპონდენცია

მაღარო, 25 თებერვალ. მრავალ თქვენ მკითხველთაგანს წაკითხული და გაგონილი ექმნება, რასაც ჩინოვნიკები და მაზრის უფროსის თანაშემწე საქმეებს ახდენდნენ უწინ ქიზიყში ქრთამისათვის, მალვითა და ცხადათ. ამოიკვეთა ახლა ის ცხადათ ქრთამის აღება და მოისპო ის უწესოება; ამოიკვეთა მას აქეთ რაც მოვიდნენ ახალნი თანამდებობის პირნი, ე. ი. მსაჯული და მაზრის უფროსი.

ახლა ვისაც შეხვედები და ვისაც ნახამ, ყველა პოლიციის ჩინოვნიკებს უჩივის პოლიციის დაბალი თანამდებობის ჩინოვნიკებს ერთი ერთმანერთზედ აქვსთ კუდები გადაბმულები.

მაგრამ გამოცხადებით, როგორც ადრევ ეჭვიანობდნენ, ისე ეველარ არიან მალვით სარგებლობენ. რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

მაისის თვეში მაზრის უფროსი გამოემგზავრა თფილისისაკენ სხვათა შორის ჩააყენეს ესადნიკათ (ჩაფრათ) ერთი გლეხი კაცი ს. ბოდბისხევში მცხოვრებელი და აიღეს იმისგნით 20 მანეთი. ეს გარემოება მობრუნებისა უმალვე შეიტყო უფროსმა, დაიბარა ესადნიკი და უთხრა: „თუ შენ გინდა, რომ ის მიცემული ქრთამი დაგიბრუნო და ადგილიც ისევ გქონდეს, მითხარი, რა გამოგართეს!“ შეშინებულმა ჩაფარმა ეითომ რომ არ დამიჭიროსო, უარი სთქვა. უფროსმა მოაკლო ჩაფარი თავის სამსახურს.

15 თებათვეს მოვიდა ის ჩაფარი ჩემთან, სადაც იყვნენ შეკრებილნი ხუთიც სხვა ჩემ გარდა და შემომჩივლა—20 მანეთი ჰქონდა მიცემული და რადგან ადგილიდამ გამოეგდოთ ამისათვის დაებრუნებინათ 10 მანეთი და დანარჩენი 10 მანეთიც აღეთქვათ დამდეგ კათათვეში მივიღებთ ჯამაგირსა და მოგცემო. საწყალი სჩიოდა—არ ვიცი უარს მეტყვის თუ მომცემსო, და თან მკითხამდა რჩევ—მოუცადო, თუ უჩივლოვო; მოწამეცა მყავს ფულის ჩაბარების დროსაო.

ერთს მღებარს მცხოვრებელს ს. ანგაროში ბარსევანს თურამოეს სურდა მიწერილიყო სილნაღის საზოგარდოებას, რასაკვირველია, შესამსუბუქებლად სხვა და სხვა სასოფლო ხარჯებისა. ამისათვის იმან მიმართა სილნაღის პოლიციის პრისტავს ა. ვ. რომ მან იშუამდგომლოს ამ საგანზედ, რადგანაც, როდესაც საქმე იწარმოებს, მიწერ-მოწერა მთავრობას ექმნება პოლიციასთან და პოლიციაც ფორმისაებრ გარდასცემს გამოსაძიებლათ პოლიციის პრისტავსა. ხსენებულმა პრიატანმა ვაჟიკაცმ მუყბრის გულმხურვალე სურვილი და იფიქრა: „ღმერთმა კარგი ლუკმა მომარგინაო“ და დაიწყო სხვა და სხვა გარემოებებით ლაპარაკი: „აი შენ საქმეს ამტენი თავის ხეთქვა უნდა, აი ამტენი ქალალდი უნდა დაიწეროს, რომ უეჭველად მიგაწეროთ სილნაღის საზოგარდოებაში, თუ არა და უშრომოთ არა გაკეთდებარაო და აბა ერთი მითხარი—რისთვის ვიხეთქო თავი და ვაწუხო მთავრობაო?“ მღებარმა მისცა ამავ საათში 10 მანეთი; პრისტავი განრისხდა და მიაგდო ის 10 მანეთი ამ სიტყვებით: „წაიღე ეგ შენი 10 მანეთი, მაწონი იყიდე და თავი დაიბანეო! მაგ 10 მანეთით შენ საქმე არ გაგიკეთდებაო!“ დაუმატა: ერთი შავები რომ შევარდგინო, გადასაწერათ თეთრისა მწერალი გამომართმევს 15 მანეთსა და თუ გინდა, რომ საქმე გაგიკეთდეს 50 მანეთი მომეციო.“ მღებარს ეს ძრიელ ებევრა და უთხრა: „თუ გინდა აი 30 მანეთი, თუ არა და შენ იციო!“ პრისტავმა ჩააელო ხელი 30 მანეთსა და დაჰპირდა მომავალს ფოშტით გაგიგზავნი საქმეებსაო.

იქნება ექვსი წელიწადი, რაც რომ შესდგა გარდაწყვეტილება სილნაღის მომრიგებელ სასამართლოში, რომ უნდა დაპატიმრებულიყო ერთი გლეხი-კაცი, ს. მალაროში მცხოვრებელი დიმიტრი სულეიმანაშვილი, სამ თვე ნახევრით. წესისაებრ აღსრულებაში მოსაყვანათ სასამართლომ გარდასცა უეზდის უპრავლენიას, უეზდის უპრავლენიამაც გარდასცა რაიონის ჩინოვნიკს რომ წარმოუდგინოს ხსენებულს უპრავლენიას დამნაშავე და შეასრულებინონ ზემოხსენებული სასჯელი. რაიონის ჩინოვნიკმა დამნაშავეს უთხრა, რომ შენი საქმე არის გარდმოცემული ჩემზედ, უნდა შეასრულო შენი გარდასახადი და უკეთუ არ გინდა, რომ დაგატუსაღონ, მოამზადე ამ ორს დღეს, თუ ხელში არა გაქვს, 30 მანეთი და... ჩავშალი საქმეს.“ ბლეხ კაცი შეუდგა ვალის აღებას და იშოვა 21 მანეთი ერთი კვირის შემდეგ (თვეში 60 კოპ. სარგებლით თუმანი) და დაკმაყოფილა ჩინოვნიკი რომელმანც ჩაჯიბა იგი. მაგრამ გაურიგა საქმე მაინცა? პრისტავს მიუგდია ორ წლამდის ის საქმე და მიუცია დაეიწყებისათვის; შემდეგ ორის წლისა, სასტიკის მოთხოვნის უეზდის უპრავლენიამ მოსთხოვა ჩქარა წარადგინოს გლეხი. რა ქნას ახლა რა სახითლა გამოეცხადოს პრისტავმა? გლეხსა და უთხრას, როდესაც ორი წლის წინ მიუღია ქრთამათ 21 მანეთი? შემდგომ ბევრის ფიქრისა, მოვიდა და გლეხს უთხრა: „რა ექნა, ბევრი ვეცადე,

მარამ არა გაკეთდარა, რადგანაც ფული ძრიელ ცოტა იყო და თხოულობენ, რომ ისევ გარდახდეს ის სასჯელიო.„ მაშ— დამიბრუნე ჩემი 21 მანეთიო, ეუბნება გლეხი. — აღარ შეიძლება, რადგანაც ორი წელიწადი თავისუფლად დასდიოდიო! თუ გინდა 15 მანეთიც იმოვე და მერმე სულ საუკუნოთ განგათავისუფლებო! შეშინებულმა გლეხმა კიდევ ივალა 15 მანეთი იმავ სარგებლით და მისცა ჩინოვნიკს. ამანაც რომ უეზდის უპრავლენიამ საყვედური არ მისცეს წარუდგენელობისათვის, იხმარა ეს საშუალება: იმ დროს დამნაშავეს ჰყავდა ავათმყოფი ბიძა-შვილი წაიყვანინა დოქტურთან შესამოწმებელად;სახელიც გამოუცვალეს, დარქვეს დამნაშავის სახელი, რომ ვითომ დამნაშავე არის ავათმყოფი და დაჭერა აღარ შეიძლება ვიდრე არ მოარჩენა, ჩინოვნიკმა წარუდგინა იგი მოწმობა უეზდის უპრავლენიას, რომელიც დაარწმუნა რომ მართლად ავათმყოფი ყოფილაო და ამისთვის საქმე მიეცა დავიწყებას. ასე, გარდა იმოარის წლისა, რომელიც ჩინოვნიკმა შეაყენა, სამიც სხვა გაატარა, ე. ი. ხუთი წელიწადი.

აი ამ ნაირათ მოატყუა დოქტურიცა და უპრავლენიაცა. ამ წარსულს თვეებში წამოუარეს და ჩაადეს საპატიმროში ხსენებული გლეხი ქაცი. ამ საცოდავს არც ის პატიმრობა ასცდა თავიდან და 36 მანეთიც დაეკარგა. ეხლა გლეხი უპირებს ჩივილს ამ ჩინოვნიკსა და არ ეიცი როგორ გათავდება.

მალაროელი

ტირაჟი

პირველი შინაგანი 5% სესხის ბილეთებისა, რომელიც ამ 1 ივლისს იყო პეტერბურღში. უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებსა და სერიებს:

№ სერიისა	№ ბილეთისა		ჯამი მოგებისა:
8,306 . .	48		200,000
16,738 . .	12		75,000
18,622 . .	38		40,000
9[illegible],018 . .	26		25,000
16,581 . .	3		
172 . .	20	. . .	10,000
5,075 . .	11		
14,552 . .	32		
15,013 . .	30		
7,193 . .	5	. . .	8,000
8,589 . .	42		
1,633 . .	46		
15,919 . .	38		
16,349 . .	32		
12,508 . .	46		
12,308 . .	46		
17,489 . .	44	. . .	5,000
18,324 . .	2		
794 . .	39		
15,358 . .	38		
4,209 . .	44		
18,237 . .	49		
19,860 . .	29		
13,471 . .	23		
6,304 . .	41		
1,199 . .	11		
8,641 . .	24		
4,054 . .	32		
17,101 . .	17		
1,627 . .	4		
9,313 . .	14	. . .	1,000
5,122 . .	4		
908 . .	12		
965 . .	3		
3,303 . .	7		
81 . .	31		
10,806 . .	15		
13,771 . .	32		
96 . .	48		
17,202 . .	40		
5,176 . .	49		

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, იმის ნებადართვით, **იჯარა ,ქალაქის მაწანწალა ძაღლების დახოცვის შესახებ,** გასული 20 ივნისიდამ მოიჯარადრეშ საფრანგეთის ქვეშევრდომმა **ლუი ალლომმა გადასცა** აკულისის მცხოვრებელს **ავეტიქ ზარგარუს** იმავე კონტრაქტითა და პირობით, რომლითაც ჰქონდა ზემოხსენებულ **ლუი ალლომს** და რომელიც გამოცხადებული იყო ადგილობრივს გაზეთებში.

(3—2)

სახელმწიფო ბანკის თფილისის განყოფილება

აცხადებს, რომ ივნისის 30 რიცხვიდამ იწყება გასყიდვა **„ალმოსავლეთის სესხის“** 5% ობლიგაციებისა და ამ თავით მისცემს მყიდველთა დროებით მოწმობას 90 მანეთისას 100 მანეთიანს ბილეთზე.

გასყიდვა ამ ობლიგაციებისა გაგრძელდება **მხოლოთ** ამ წლის 30 **ივლისამდინ** (ერთის თვის განმავალობაში).

ობლიგაციები სამ გვარის ღირსებისანი არიან გამოცემულნი: 50 მანეთიანი, 100-სა და 1,000-ნი.

ამათი **შესყიდვა** შეიძლება შემდეგ ვადებში:

ობლიგაციის ყიდვის სურვილის გამო	— 50	მანეთში	100	1,000
გამოცხადებისათანავე — — — — — — —	16%	8 მან.	16	160
15 აგვისტოს 1877 წელს — — — — — —	16%	8	16	160
15 ოქტომბერს — — — — — — — —	16%	8	16	160
15 დეკემბერს — — — — — — — —	16%	8	16	160

და 15 თებერვალს 1878 წელსა დანარჩენი ფული, რამდენიც მთელ ობლიგაციის ფასს დააკლდება.

ვინც ამ დანიშნულს ვადებზე ადრე შემოიტანს ნასყიდი ობლიგაციების მთელს ფასს, იმას შემოსატანს ფულში 5% ანგარიშით გამოერიცხება პროცენტები.

უფრო დაწვრილებითი ცნობების შეტყობა, ამ საგნის შესახებ, მსურველს თვითონ სახელმწიფო ბანკის თფილისის განყოფილებაში შეუძლია. (3—3)

29 ივნის რკინის გზის მოსვლის დროს ნივთების გადატანაზე ეკუთვნის ყური, რომ ბევრნი ან მოუყვარათ ამას გარდა მოგზაურობა სკარიკა იყო სწავლის ლიტერაზაში ლებისა, მეტრიული, დაბადების, ცინის ჯანმთელობის ბოლოს ბოლოს, ეს ბევრ ადგილებს, ეს ბევრ ადგილებს, ეს ბევრ ადგილებ